სსიპ განათლების ხარისხის
განვითარების ეროვნული
ცენტრის დირექტორი

19/03/2025

MES 0 25 0000301644

ბრძანება
,,განათლების (დეტალური სფეროს კოდი - 011), ინტერდისციპლინურის (დეტალური სფეროს კოდი - 018), გარემოს (დეტალური სფეროს კოდი - 052), ინფორმაციისა და კომუნიკაციის ტექნოლოგიების (დეტალური სფეროს კოდი - 061), წარმოება და გადამუშავების (დეტალური სფეროს კოდი - 072), სოფლის მეურნეობის (დეტალური სფეროს კოდი - 081), მეტყევეობის (დეტალური სფეროს კოდი - 082),
ვეტერინარიის (დეტალური სფეროს კოდი - 084), ინტერდისციპლინურის (დეტალური სფეროს კოდი - 088), ტრანსპორტის მომსახურებების (დეტალური სფეროს კოდი - 104) მიმართულებებით უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის ექსპერტთა ატესტაციის შესახებ"
სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2025 წლის 16 იანვრის №22198 ბრძანებაში ცვლილების შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 14 სექტემბრის №89/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დებულების“ მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ნ“ ქვეპუნქტის, სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორის, ლალი ოდიშვილის 2025 წლის 18 მარტის №296305 სამსახურებრივი ბარათის გათვალისწინებით,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. ,,განათლების (დეტალური სფეროს კოდი - 011), ინტერდისციპლინურის (დეტალური სფეროს კოდი - 018), გარემოს (დეტალური სფეროს კოდი - 052), ინფორმაციისა და კომუნიკაციის ტექნოლოგიების (დეტალური სფეროს კოდი - 061), წარმოება და გადამუშავების (დეტალური სფეროს კოდი - 072), სოფლის მეურნეობის (დეტალური სფეროს კოდი - 081), მეტყევეობის (დეტალური სფეროს კოდი - 082), ვეტერინარიის (დეტალური სფეროს კოდი - 084), ინტერდისციპლინურის (დეტალური სფეროს კოდი - 088), ტრანსპორტის მომსახურებების (დეტალური სფეროს კოდი - 104) მიმართულებებით უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის ექსპერტთა ატესტაციის შესახებ" სსიპ -განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის (შემდგომში - ცენტრი) 2025 წლის 16 იანვრის №22198 ბრძანებაში შევიდეს ცვლილება და ბრძანების მესამე პუნქტის 3.4 და 3.5 ქვეპუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,3.4. ატესტაციის პერიოდი - 2025 წლის 19 თებერვლიდან 2025 წლის 30 აპრილამდე, რომელიც მოიცავს შემდეგ ეტაპებს:
ა) მიზნობრივი ტრენინგები/სამუშაო შეხვედრები, რომელიც ექსპერტს აცნობს შეფასების პროცესის, მათ შორის, კლასტერული აკრედიტაციის პროცესის განახლებულ თავისებურებებს და პროცესში არსებულ კარგ პრაქტიკებს (ტრენინგების/სამუშაო შეხვედრების გავლა სასურველია, არ არის სავალდებულო ხასიათის და ინტერვიურების ეტაპზე დაიშვება ის ექსპერტიც, რომელმაც არ გაიარა ტრენინგები);
ბ) ინტერვიურების პროცესი;
გ) კომისიის მიერ შერჩეული იმ ექსპერტების, რომელთაც გაიარეს ატესტაცია, ექსპერტების მონაცემებისა და საექსპერტო სწავლის სფეროების შესახებ რეკომენდაციის წარდგენა ცენტრის დირექტორისთვის.
3.5. ექსპერტთათვის ატესტაციის ინდივიდუალური შედეგების გაცნობა - არაუგვიანეს 2025 წლის პირველი ივნისისა.".
2. დაევალოს ცენტრის ადამიანური რესურსების მართვის და საქმისწარმოების სამსახურს ამ ბრძანების დაინტერესებული პირებისათვის კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობის უზრუნველყოფა.
3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის.: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64) მისი ოფიციალურად გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების
ეროვნული ცენტრის დირექტორის მოვალეობის
შემსრულებელი მარგიშვილი ლაშა